



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 30/3

13/02/2018

„საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს – ხაზინადართა საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრისა და ხაზინადართა საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 22 ნოემბრის №227/3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „ს“ და „ჰ“ ქვეპუნქტებისა და 261-ე მუხლის, „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს – ხაზინადართა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 29 ივნისის №45/3 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს – ხაზინადართა საბჭოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2018 წლის 12 თებერვლის №130/5 გადაწყვეტილების შესაბამისად:

1. „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს – ხაზინადართა საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრისა და ხაზინადართა საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 22 ნოემბრის №227/3 ბრძანების მე-2 პუნქტის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მამუკა მდინარაძე – საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე;“;

ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ადა მარშანია – საქართველოს პარლამენტის წევრი.“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

